საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ფრანგული ფილოლოგია**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში**
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	ფრანგული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს: ძირითადი სასწავლო კურსები - 180 კრედიტი (160 კრედიტი სავალდებულო და 20 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები), დამატებით სპეციალობა/არჩევითი კურსები- 60 კრედიტი.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია: მოამზადოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში, რაც ითვალისწინებს ფრანგულ ფილოლოგიაში ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისი, კვალიფიცირებული სპეციალისტების მომზადებას, რომლებსაც საშუალება ექნებათ სწავლა გააგრძელონ აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე(მაგისტრატურაში) ან დასაქმდნენ უპირველეს ყოვლისა განათლების და ასევე მასმედიის, ტურიზმის, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებში. პროგრამის ამოცანაა სტუდენტს ჩამოუყალიბოს ლინგვისტური კომპეტენციები, ენის ცოდნის თავისუფლად, გამართულად და ადეკვატურად გამოყენება სამეტყველო აქტივობაში, ფრანგულ ენაზე სწორი მეტყველების ჩამოყალიბება, ფრანგულ ენაზე მსჯელობისა და დასკვნების გამოტანის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, კორესპონდენციისა და სხვადასხვა დოკუმენტაციის წარმოების ცოდნა, უახლესი მეთოდოლოგიის დაუფლება და მათი რეალიზება პრაქტიკაში, სხვადასხვა ტიპის ტექსტის კითხვის მექანიზმის გამომუშავება, ტექსტის აღქმა და გაგება, მხატვრული ტექსტის ესთეტიკური აღქმა, რაც გულისხმობს ენის გამომსახველობითი საშუალებებისა და სტილისტური ხერხების დაუფლებას, სტუდენტის ისეთი ცოდნით აღჭურვას, რომელიც მას გაუადვილებს ზეპირი დიალოგებისა და მონოლოგების გაგებას, ჩამოუყალიბოს ენობრივი კომპეტენციები ყოფით, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ლიტერატურულ, სამეცნიერო და სხვა თემებზე საუბრისას, ენობრივი ნორმის სწორი მეტყველებითა და გრამატიკულად გამართული წერითი ფორმების უნარის ჩამოყალიბება, საქმიან კომუნიკაციებში მოლაპარაკებების წარმოების უნარ-ჩვევების დაუფლება, “პრესის ენის” სპეციფიკის დაუფლება, წაკითხული სტატიის კომენტირება (დაიჯესტი) და მიღებული ინფორმაციის პრაქტიკაში გამოყენება, ტექსტიდან სტრუქტურულ-ვერბალური ინფორმაციის ამოღება–გადმოცემა, ესეების, კომპოზიციების, თხზულებების, კორესპონდენციის, დოკუმენტაციის, პრეზენტაციების, საქმიანი მიმოწერის წარმოებისა და შედგენის ცოდნის განვითარება, კომუნიკაციურ სიტუაციებში საუბრის კომპეტენციის ჩამოყალიბება, არამხატვრული ტექსტის გაგების, სწორად თარგმნისა და რეფერირების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, თანამედროვე მსოფლიოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შესახებ უახლესი ინფორმაციის მოპოვება, მოსმენა, გაგება და გადმოცემა, მხატვრული ნაწარმოების ინტერპრეტაციის საშუალებით ტექსტის ესთეტიკურ-შემეცნებითი ინფორმაციის სიღრმისეული და ადეკვატური გაგება, ფრანგულ ენაზე ბიზნესის, ოფისებში, ბანკებში, საწარმოებში, სასტუმროებში და სხვა საქმიან სფეროებში კომუნიკაციის წარმოება.
სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი	**დარგობრივი კომპეტენციები** **ცოდნა და გაცნობიერება** 1.აქვს ფართო ცოდნა ფრანგულ ფილოლოგიაში: ლინგვისტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში.

კომპეტენციები)	2. აქვს ფრანგული ენის B2 (Intermédiaire supérieur fort)დონე. 3. ჩამოყალიბებული აქვს ენობრივი კომპეტენციები. 4. შესწავლილი აქვს ფრანგული ენის სტრუქტურული და ლექსიკურ–სემანტიკური თავისებურებები, ფრანგული ენის ძირითადი ეტაპები. 5. აქვს ევროპული და ფრანგული ლიტერატურის ცოდნა. 6. შეუძლია მიღებული ცოდნის გამოყენება კვლევის წარმოებისას 7. გაცნობიერებული აქვს ის მსგავსება–განსხვავებები, რომლებიც არსებობენ ქართულ და ფრანგულ ენებს შორის, ასევე ფრანგულ სამეტყველო რეგისტრებს შორის. 8. აცნობიერებს ფრანგული ფილოლოგიის კომპლექსურ საკითხებს
	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი 1.შეუძლია მიღებული ცოდნის ინტეგრირება პრაქტიკაში, მთარგმნელობითი და თარჯიმნობითი საქმიანობა ფრანგული ენიდან და პირიქით. 2.შეუძლია საკუთარი აზრის გადმოცემა ფრანგულ ენაზე როგორც ზეპირი, ისე წერითი სახით, სხვადასხვა ტიპის წერილებში, რეფერატებში, ესეებში, სამეცნიერო და საბაკალავრო ნაშრომებში. 3. შეუძლია სხვადასხვა თემაზე შექმნილი შემეცნებითი ტექსტების გაგება, ანალიზი და ინტერპრეტაცია. 4. შეუძლია წარმატებული კომუნიკაციის დაყარება ფრანგულენოვან გარემოში. 5. შეუძლია საკუთარი მოსაზრების დასაბუთება სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით, როგორც ქართულად, ისე ფრანგულად. 6. შეუძლია მიღებული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკაში.
	დასკვნის უნარი 1.შეუძლია ფილოლოგიური, კერძოდ ლინგვისტური მონაცემების შეგროვება, გაანალიზება და დასაბუთებული დასკვნების გამოტანა. 2. შესწევს კრიტიკული ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი დასკვნების გამოტანისას.
	კომუნიკაციის უნარი: 1.შეუძლია მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება ქართულ ენაზე კომუნიკაციის დროს, კვლევა, მცირე მოცულობის მოხსენებებისა და სტატიების პროგნოზირებად თემებზე თარგმნა ქართული ენიდან ფრანგულად და მათი რეზიუმირება. 2.შეუძლია ზეპირი კომუნიკაცია, პრეზენტაცია და სხვადასხვა საკითხზე დისკუსია ფრანგულ ენაზე. სხვადასხვა ტიპის ტექსტების თარგმნა ფრანგული ენიდან მშობლიურ ენაზე. 3. შეუძლია პრეზენტაციების ჩატარება ქართულ და ფრანგულ ენებზე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.
	სწავლის უნარი 1.შეუძლია, სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე ფრანგული ფილოლოგიის, ლინგვისტიკის, თარგმანმცოდნეობის, ლიტერატურათმცოდნეობის, ლინგვოკულტუროლოგიის, სემანტიკისა და სხვა მიმართულებებით. 2. შეუძლია გაიღრმავოს ცოდნა სხვადასხვა სასწავლო და გაცვლით პროგრამებში, საგრანტო პროექტებში და კონკურსებში მონაწილეობით.
	ღირებულებები 1. ეროვნული და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობისა და ფასეულებების, ტრადიციების გაცნობით ჩამოყალიბდება კრიტიკულად მოაზროვნე ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი თავისუფალი და დამოუკიდებელი პიროვნება, რომელსაც აქვს ინტერკულტურულ ურთიერთობათა უნარი და აქვს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება.

შეფასების წესი	**სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:** ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
საკონტაქტო პირი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ევროპეისტიკის დეპარტამენტის **პროფესორი ნატალია სურგულაძე** საკონტაქტო მონაცემები: ტელ.: ბინის (0422)74163 მობ.: (+995 93) 394181, (+995 95)505793 ელ. ფოსტა:Nn.sourgouladze@yahoo.fr